აღზრდის ავტორიტარული სტილი, დაუცველი მიჯაჭვულობა და ობსესიურ-კომპულსიური აშლილობის განვითარების რისკი მოზარდებში

თამარ კობერიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან მაყაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

აბსტრაქტი

ობსესიურ-კომპულსიური აშლილობა ფსიქიკურ აშლილობათა რიგს მიეკუთვნება, რომელიც დაკავშირებულია ინდივიდის სუბიექტური კეთილდღეობის, სოციალური და პროფესიული სფეროს გაუარესების მაღალ დონესთან.

საინტერესოა დაავადების გამოვლენა და მიმდინარეობა მოზარდებში, რადგან მოზარდებში ამ აშლილობის გამოვლენას მაღალი სიხშირე ახასიათებს. ნაშრომში აქცენტი გაკეთებულია აშლილობის ნაადრევ გამოვლენასა და ამ გამოვლენის მიზეზებზე. ობსესიურ-კომპულსიურ აშლილობას სხვადასხვა თეორიული მოდელი განსხვავებულად განმარტავს. ამ შემთხვევაში შემოთავაზებულია ადრეული გამოცდილების გავლენა, კონკრეტულად კი მშობლის ავტორიტარული სტილი, როგორც ერთ-ერთი რისკ ფაქტორი დაავადების განვითარებისა. ნაშრომის მიზანია აღზრდის ავტორიტარულ სტილს, არაჯანსაღ მიჯაჭვულობასა და ობსესიურ-კომპულსურ აშლილობას შორის კავშირის დადგენა. აღნიშნული კორელაციის დასადგენად გამოიკითხა 100 მოზარდი. შესაბამისი აპრობირებული საკვლევი ინსტრუმენტის საშუალებით დადგინდა მშობლების აღზრდის სტილი (ავტორიტარული, ავტორიტეტული, პერმისიული) და მოხდა მოზარდების მიჯაჭვულობის (ჯანსაღი, არაჯანსაღი) იდენტიფიცირება. ჩატარებული კვლევა ადასტურებს ავტორიტარულ აღზრდის სტილსა და შფოთვით მიჯაჭვულობას შორის კავშირის.

არსებობს პარადიგმა ობსესიურ-კომპულსიური აშლილობის ახსნასთან დაკავშირებით ფსიქოდინამიურსა და ნეიროგანვითარების მოდელებს შორის. ეს არის აქტუალური პარადიგმა. არსებობს კვლევები როგორც ფსიქოდინამიურ, ასევე ნეიროგანვითარების მიმართულებით. ამიტომ ჩვენ დავსახეთ კვლევა ფსიქოლოგიური პერსპექტივიდან ფსიქოგენური წარმოშობის შესამოწმებლად, კერძოდ OCD-ის კავშირი აღზრდის სტილებსა და მიჯაჭვულობასთან. კვლევამ უჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ აღზრდის სტილებსა და მიჯაჭვულობას შორის არსებობს რელევანტური კავშირები, არც ერთ და არც მეორე პარამეტრს ბმა არ აქვს დიდი სიმძაფრით, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენი მონაცემები აძლიერებს ნეიროგანვითარების მოდელის რელევანტურობას ობსესიურ-კომპულსიური აშლილობის წარმოშობაში და იძლევა რეკომენდაციას ამ ეტიოლოგიასთან დაკავშირებული რელევანტური ჩანართისათვის.

საძიებო სიტყვები: ობსესიურ-კომპულსიური აშლილობა; ოკა; აღზრდის სტილი; მიჯაჭვულობა;